



ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 6 თვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი:
 - 2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
 - 2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
3. დასკვნა

1. შესავალი

2014 წელს 6 თვეში სულ განხილულია 415 საკასაციო საჩივარი, აქედან გაუქმდა 14 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10 გადაწყვეტილება-განჩინება (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: თბილისის საქალაქო სასამართლომ – 9, დედოფლისწყაროს მაგისტრატმა სასამართლომ – 1);
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 4 გადაწყვეტილება-განჩინება (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ – 1, ბათუმის საქალაქო სასამართლომ – 2, ხობის რაიონულმა სასამართლომ – 1).

2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი

2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

სასამართლოს შეცდომა (უწყებრივი ქვემდებარეობის წესების დარღვევა, ასკ-ის მე-2, 26-ე და სკ-ის მე-11 მუხლები):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1391, 01.03.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-1355-11, 17.10.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივარი სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ზემოხსენებული დავა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს. ეს დასკვნა მსგავსი კატეგორიის დავების განსჯადობის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას შეესაბამება (იხ. განჩინება №ბს-671-657(კ-12). სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა

განსჯად სასამართლოზე, რომელსაც, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (განჩინება №ას-635-598-2012, 10.01.14).

სასამართლოს შეცდომა (საპროცესო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა):

საქმეში წარმოდგენილი სარჩელის თანახმად, მოსარჩელემ მოითხოვა იმ ხარჯის ანაზღაურება, რომელიც მან გასწია, ადვოკატის დახმარების გამო, მოპასუხესთან წარმოებულ სხვა დავაში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2226-12, 07.11.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/881-12, 25.04.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად მიიჩნია ცალკე დავის საგნად სხვა საქმეზე გაწეული პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი და სარჩელის დასაკმაყოფილებლად არასწორად გამოიყენა სსკ-ის 53-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. ეს დასკვნა გამომდინარეობს სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან. გარდა ამისა, არსებობს ხსენებული საკითხის გადაწყვეტის კიდევ ერთი მექანიზმი, რომელიც მოცემულია ამავე კოდექსის 261-ე მუხლში, კერძოდ, თუ სასამართლომ ძირითადი გადაწყვეტილებით არ გადაწყვიტა სასამართლო ხარჯების საკითხი, მას შეუძლია, ეს ხარჯები გამოასწოროს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარეს აქვს სრული შესაძლებლობა, მოითხოვოს საქმის განხილვასთან დაკავშირებით მის მიერ გაწეული პროცესის ხარჯების ანაზღაურება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ისარგებლებს აღნიშნული შესაძლებლობით, იგი კარგავს პროცესის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან ასეთ მოთხოვნას მატერიალურსამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და იგი არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სარჩელის დავის საგანი. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია დამოუკიდებელი სარჩელით იმ საპროცესო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც მოგებულმა მხარემ ძირითად სარჩელზე საქმის წარმოებისას გასწია. ამდენად, საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა, ადვოკატის დახმარების გამო, გაწეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა (გადაწყვეტილება №ას-1706-1600-2012, 18.02.14).

სასამართლოს შეცდომა (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველები სსკ-ის 232¹-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1650-12, 28.03.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/10748-11, 13.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სსკ-ის 232¹-ე მუხლი და არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, გულისხმობს მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად შემოწმებას, სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება ქმნის თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის

შემაღვენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა, იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და საქმის არსებითად განხილვის აუცილებლობას, იმ განხილვებით, რომ ასეთ დროს მოპასუხისაგან (მოწინააღმდეგე მხარისაგან) მტკიცებულებები არ მიიღება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივარში მოყვანილი ფაქტების ურთიერთგამომრიცხავობა სათანადოდ არ გამოუკვლევია, სასამართლომ იმსჯელა და დადგენილად მიიჩნია მხოლოდ რამდენიმე გარემოება, კერძოდ, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკმარისი საფუძველი, რაც არ გამოდინარეობს სააპელაციო საჩივრის შინაარსიდან (**განჩინება №ას-535-509-2013 24.03.14**).

სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 105-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/-498-13, 15.07.13) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/218-13, 18.04.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა ორი ოთახის ნაცვლად ერთი ოთახი და ამის პროპორციულად უნდა შემცირდეს ნასყიდობის ფასი, არ გამოდინარეობს საქმის მასალებიდან.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა არა ორი ოთახი, არამედ შენობა-ნაგებობის 1/3 წილი და მოპასუხე მოსარჩელეს საკუთრების უფლებას ვერ გადასცემდა იმ ფართზე, რაც მის სახელზე არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას, ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული ღირებულების შესაბამისად უნდა დაედგინა მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების საერთო ფასი და მხოლოდ ამის შემდეგ განესაზღვრა ურთიერთმოთხოვნათა გაქვეითვის ფაქტობრივი მოცემულობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დააბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად (**განჩინება №ას-904-862-2013, 21.04.14**).

სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2469-13, 30.07.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/15464-12, 19.03.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოსარჩელეს ეკისრებოდა, როგორც ფაქტების მითითების, ისე – მათი დამტკიცების ტვირთი. მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა, რომ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა იყო. საქმეში, გარდა მოსარჩელის ახსნა-განმარტებისა, წარმოდგენილი არ იყო სხვა მტკიცებულება. სასამართლომ არ დაადგინა მოპასუხის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა და ისე მიიღო გადაწყვეტილება, რითაც დაირღვა სსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნა. ამდენად სასამართლომ დაასკვნა, რომ სარჩელი არ იყო დასაბუთებული და ახალი

გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა საჩივარი (გადაწყვეტილება №ას-880-838-2013 09.06.14).

2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 185-ე და 187-ე მუხლები):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1232-12, 13.12.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/11304-10, 16.12.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად გამოიყენა სკ-ის 187-ე მუხლი, და მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია ვერ დაიცავს კეთილსინდისიერ შემძენს, თუკი საჯარო რეესტრის ჩანაწერს საფუძვლად უდევს მართლსაწინააღმდეგო ქმედება. შესაბამისად, უპირატესად მიიჩნია მესაკუთრის და არა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: რეესტრის სამსახურის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოება არ გამორიცხავს შეცდომის დაშვების ალბათობას. შესაბამისად, თუ გაზიარებული იქნებოდა მსჯელობა, რომ რეესტრის სისწორის პრეზუმფცია არსებობს მხოლოდ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ნამდვილი უფლების მიმართ, საფრთხე შეექმნებოდა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, ვინაიდან შემძენს დაეკისრებოდა რეესტრის მონაცემების ნამდვილობის შემოწმების ტვირთი, რაც მისთვის შეუძლებელი იქნებოდა. თუ კანონმდებელს სურდა, რომ უპირატესობა მესაკუთრის ინტერესებს მინიჭებოდა, იგი ცალკე არ გამიჯნავდა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის პირობებს და არ დაადგენდა ორ ნორმას ამ საკითხის დასარეგულირებლად. სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი იქნებოდა არა მოძრავ ნივთთან დაკავშირებით, არამედ ნივთის კატეგორიის მიუხედავად გამოსაყენებელი ზოგადი ნორმა. ამდენად, უძრავი ნივთის შემძენის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 185-ე და არა 187-ე მუხლი. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-189-182-2013, 16.01.14).

სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 312-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1056-12, 20.02.13) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2/499-12, 30.07.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას დაარღვია სკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია და სადავო უძრავი ქონება არასწორად მიაქცია აუქციონზე სარეალიზაციოდ, მიუხედავად იმისა, რომ ნივთის შემძენისას საჯარო რეესტრის ჩანაწერებით მოსარჩელის სასარგებლოდ იპოთეკის რეგისტრაცია არ არსებობდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 312-ე მუხლის მეორე ნაწილი შეეხება რეესტრის ჩანაწერის იმგვარ უზუსტობას, როდესაც შემძენი წინდახედულობის გონივრულ ფარგლებში გამსხვისებლის უფლებას ნამდვილად მიიჩნევს, თუმცა, ეს ნორმა ასევე არეგულირებს იმგვარ ურთიერთობებს, რომელიც შეეხება ქონებაზე რეგისტრაციის ვალდებულებებსაც, ანუ, უძრავი ქონების უფლებრივ მდგომარეობას. შემძენს, თავისი უფლების დასამტკიცებლად, შეუძლია, დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც სინამდვილეში არასწორი იყოს რეესტრის მონაცემები. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად უნდა ირკვეოდეს, რომ შემძენმა ნივთის

შეძენამდე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ კუთხით მოსარჩელეს მოპასუხის შესაგებლის საწინააღმდეგო მტკიცება არ წარუდგენია, კერძოდ, არ მიუთითებია იმ სარწმუნო ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რაც გარიგების დადების დროს შემძენის არაკეთილსინდისიერებას დაადასტურებდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება მოპასუხის კუთვნილი სადავო ნივთის რეალიზაციის ნაწილში გააუქმა (**გადაწყვეტილება №ას-394-373-2013, 20.05.14**).

სასამართლოს შეცდომა (არასწორად გამოიყენა სკ-ის 956-ე მუხლი და 173-ე მუხლის პირველი ნაწილი):

დავა ეხებოდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობებს, თანასაკუთრების დროს. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/2189-12, 10.07.12), თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№2/4591-11, 18.04.12) შემოსული საჩივრის განხილვისას იხელმძღვანელა სკ-ის 956 და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით და მოსარჩელის მოთხოვნა, დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ, მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე არ დააკმაყოფილა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუ ერთ-ერთ თანამესაკუთრეს არ აქვს აღძრული სარჩელი მოსარგებლის წინააღმდეგ, თუნდაც დანარჩენი თანამესაკუთრეები დავობდნენ თავიანთ უფლებაზე, მხოლოდ მათი მზაობა კომპენსაციის გადახდის თაობაზე არ შეიძლება გახდეს, მოსარგებლის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საქმის მასალებიდან გამომდინარე, ყველა მესაკუთრეს დაკავებული აქვს საკუთარი ფართი, აქედან გამომდინარე, სადავო საცხოვრებელი ფართი ვერ იქნება მიჩნეული საზიარო საგნად. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გამოყენებული სკ-ის 956-ე მუხლი, რომელიც საზიარო საგნის მართვას ეხება, რაც თავისი არსით საზიარო საგნის სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში შენარჩუნებას ემსახურება. რაც შეეხება სკ-ის 173-ე მუხლს, იგი არ შეიძლება დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს მოცემული დავისათვის, ვინაიდან მოსარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სადავო სადგომზე კვლავ გავრცელდება ყველა თანამესაკუთრის უფლება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ერთობლივი პოზიციის არარსებობა ნაკლიანად აქცევს მესაკუთრის ნებას „გაისტუმროს“ მოსარგებლე, არ გამომდინარეობს ნორმათა სწორი განმარტებიდან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა (**გადაწყვეტილება №ას-1085-1016-2012, 05.05.12**).

სასამართლოს შეცდომა (ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება სკ-ის 930-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/204-12, 10.04.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/1569-11, 19.12.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა არასწორად მიიჩნია ნარდობის ხელშეკრულებად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მხარეთა შორის არსებული ურთიერთობების მარეგულირებელი ხელშეკრულებები (საქმეში წარმოდგენილი ინდივიდუალური გარიგებები და ამხანაგობის დაფუძნების დოკუმენტი) მიუთითებენ ერთობლივ საქმიანობაზე და არა

ნარდობაზე. იმისათვის, რომ ამხანაგობის ხელშეკრულება გაიმიჯნოს ნარდობის ხელშეკრულებისგან, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, ამხანაგობის ხელშეკრულების იმ მხარეების დახასიათება, რომლითაც იგი ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებას. ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე აგებული ხელშეკრულება, მოითხოვს წევრებისაგან ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც ახასიათებს სხვადასხვა ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. თუ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება მიზნად ისახავს, მაგალითად, რაიმე ნაკეთობის დამზადებას, სახლის აშენებას და ა.შ, ამხანაგობის წევრთა უფლება-ვალდებულებები ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ისეთ უფლება-ვალდებულებებს, რაც დამახასიათებელია კოლექტიური გაერთიანებისათვის, რომელსაც ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს, როგორც ორგანიზაციულ, ასევე, ქონებრივ ელემენტებს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურება ვლინდება იმაში, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით (იხ. სუსგ №ას-482-458-2013, 16 იანვარი, 2014 წელი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად (**განჩინება №ას-885-831-2012, 28.01.14**).

სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 1513-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/4648-12, 13.03.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/8075-12, 25.10.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, გადაწყვეტილება დაამყარა სკ-ის 1513-ე მუხლს და მიიჩნია, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს შორის არსებობდა რა შეთანხმება ნაკვეთით სარგებლობის წესზე, თითოეულ მათგანს საკუთრების უფლება წარმოეშვა მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო და, აქედან გამომდინარე, სარჩელი საზიარო უფლების გაუქმების შესახებ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკუთრების უფლების დადგენისათვის სკ-ის 1513-ე მუხლით უპირატესობა ენიჭება მხარეთა შეთანხმებას მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, რადგან საკუთრების უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე უკვე დარეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში და, ჩანაწერის მონაცემებით, მხარეთა წილები განსაზღვრული არ ყოფილა, ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სკ-ის 954-ე მუხლი, რომლის თანახმად თითოეულ მოწილეს თანაბარი წილი ეკუთვნის. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად (**განჩინება №ას-496-472-2013, 09.01.14**).

სასამართლოს შეცდომა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.5 მუხლი (ძვ.რედ):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/720-12, 19.03.13) დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს (№2/72-11, 30.12.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, კოოპერატივის დირექტორსა და მესამე პირს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, არასწორად გამოიყენა სკ-ის 129-ე და 130-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: კოოპერატივის მიერ წარდგენილი სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი სპეციალური მოწესრიგების ფარგლებში უნდა ყოფილიყო განხილული. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (ძველი რედაქციის) 9.5 მუხლის შესაბამისად, გათვალისწინებული იყო საზოგადოების დაცვის მექანიზმი იმ შემთხვევაში, როცა დირექტორმა დადო ისეთი გარიგება, რომლის დადების უფლებაც მას არ ჰქონდა და ამის შესახებ იცოდა კონტრაქტმა, საზოგადოებას შეეძლო, გარიგების დადებიდან 18 თვის განმავლობაში განეცხადებინა გარიგება ბათილობის შესახებ, ასევე, სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.3 მუხლის მეორე აბზაცის შესაბამისად, საზოგადოების წესდება შეიძლება, ითვალისწინებდეს დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას, მაგრამ საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შესაძლოა, შეიზღუდოს სამეთვალყურეო ორგანოს აუცილებელი თანხმობის დაწესებით. ხელმძღვანელობის ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე, საზოგადოების შინაგანაწესით. ასეთ შემთხვევაში კონტრაქტის ხელშეკრულების დადებისას უნდა დაინტერესებულიყო, ჰქონდა თუ არა დირექტორს ამ ხელშეკრულების დადების უფლება და, თუ დარწმუნდებოდა, რომ ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება მას არ ჰქონდა, მოეთხოვა შესაბამისი თანხმობა. ეს საკითხი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დროს ნოტარიუსსაც უნდა გაეთვალისწინებინა. ნორმის ამგვარი განმარტება დამკვიდრებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკით (იხ. სუსგ №3კ-1492-02, 19 მარტი, 2003 წელი), ასევე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დავის სპეციალური ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში მოწესრიგებისათვის დამაბრკოლებელი ვერ გახდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის 1/1/543 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგი სიტყვები: - „ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში“, ვინაიდან სადავო ურთიერთობა წარმოიშვა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმებამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 411-ე მუხლით, მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-495-471-2013, 25.03.14).

სასამართლოს შეცდომა („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი):

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№28/100-12, 30.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/11754-11, 30.10.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების მომენტისთვის, მის მიერ სადავო საცხოვრებელი სადგომის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობის ფაქტი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მიხედვით, საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივი ფლობისათვის, როგორც ზოგადად მფლობელობისათვის, განმსაზღვრელია მფლობელის ნებითი მომენტი, სურვილი, იყოს ნივთის მფლობელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს მას. მფლობელობის იურიდიული ბუნება არ გულისხმობს ნივთთან

მხოლოდ ფიზიკურ შემხებლობას. კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მოსარგებლე, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, თავის უფლებასთან მიმართებით თავისუფალია და ნივთის აუცილებლად პირადად სარგებლობით შეზღუდული არ არის. მოსარგებლე შესაძლებელია, არ ცხოვრობდეს სადავო საცხოვრებელ სადგომში გარკვეული პერიოდი და, აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის განმავლობაში არ იხდიდეს კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან მიატოვა სადავო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უნდა დასტურდებოდეს სადავო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების მიტოვების ნება. ამდენად, ის ფაქტი, რომ ამ კანონის მიღების მომენტი სთავის გარკვეული პერიოდი მოსარჩელე სადავო ფართში არ ცხოვრობდა, ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს მფლობელობის შეწყვეტას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად (**განჩინება №ას-1043-978-2012, 04.03.14**).

სასამართლოს შეცდომა (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-712-2012, 04.09.12) ზობის რაიონული სასამართლოს (№2/1-91-2012, 30.04.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და მიიჩნია, რომ ხსენებული ნორმა უფლებას ანიჭებდა დამსაქმებელს, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება კონკრეტული საფუძვლის მითითების გარეშე მოეშალა, ასევე, არასწორად განმარტა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-4¹ პუნქტი და მიიჩნია, რომ, ვინაიდან ბუღალტერი წარმოადგენს დირექციის წევრს და ფაქტობრივად - დირექტორის მოადგილეს ფინანსურ დარგში, ამიტომ ახალი დირექტორის არჩევა ან დანიშვნა იწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლების მართლზომიერად მიჩნევის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მხარეთათვის მინიჭებული უფლებამოსილება შეზღუდვადია, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტური, შეუზღუდავი სამოქალაქო უფლება. იგი ყოველთვის შემოიფარგლება მისი განხორციელების მართლზომიერებით. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული უფლების გამოყენების მართლზომიერება უნდა შეემოწმებინა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის განთავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის თანახმად, ახალი დირექტორის არჩევა ან დანიშვნა იწვევს დირექტორის მოადგილის ან მოადგილეების და არა სკოლის ბუღალტრის უფლებამოსილების შეწყვეტას. ამასთან, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბუღალტერი წარმოადგენს რა სკოლის დირექციის წევრს, არის დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ვინაიდან შრომითი ხელშეკრულება კანონიერი საფუძვლის გარეშე მოიშალა, ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება (**გადაწყვეტილება №ას-1391-1312-2012, 10.01.14**).

სასამართლოს შეცდომა („გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის 38-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№28/4685-13, 01.10.13) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/2070-13, 19.07.13) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად იქნა გამოყენებული „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ” კანონის 38-ე მუხლი ანალოგიით, ასევე არასწორად განმარტა იმავე კანონის 44.6-ე მუხლი და მიიჩნია, თითქოს ეს ნორმა ადასტურებს, რომ რეაბილიტაციის პროცესში ქონების გასხვისება არ დაიშვება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ზემოხსენებული კანონის 38-ე მუხლი, რომელიც ადგენს გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოს განკარგვის წესს აუქციონის წესით, წარმოადგენს სპეციალურ ნორმას და, სკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სპეციალური ნორმის ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია. რაც შეეხება კანონის 44.6 მუხლს, მართალია, მითითებული ნორმა მოქცეულია რეაბილიტაციის თავში, თუმცა, იგი ეხება არა ქონების გასხვისებას, არამედ საწარმოს კაპიტალის გაზრდას. რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიერ წარმოებული (შექმნილი) ან თუნდაც არსებული ქონების გასხვისება კანონით აკრძალული არ არის, თუმცა, ამგვარი ქმედება უნდა დაემორჩილოს ზოგად პრინციპს – საფრთხე არ შეექმნას, ერთი მხრივ, მოვალის ინტერესებს, გადაჭრას ფინანსური სიძნელები, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტორთა ინტერესებს, დაიკმაყოფილონ მოთხოვნა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 411-ე მუხლით, მიიღო ახალი გადაწყვეტილება (**გადაწყვეტილება №ას-1070-1021-2013, 20.03.14**).

3. დასკვნა:

შესწავლილი მასალის ანალიზი შეეხო საკასაციო სასამართლოს განჩინება-გადაწყვეტილებების დასაბუთებას, რაც გახდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გაუქმების საფუძველი. ასეთი შესწავლის შედეგად, მოცემულ პერიოდში სააპელაციო სასამართლოების პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების შესახებ შესაძლებელია შემდეგი დასკვნის ჩამოყალიბება. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ:

- დაარღვია ასკ-ის მე-2, 26-ე და სკ-ის მე-11 მუხლებით დადგენილი უწყებრივი ქვემდებარეობის წესები, საჩივარი სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილა;
- არასწორად მიიჩნია ცალკე დავის საგნად სხვა საქმეზე გაწეული პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი და სარჩელის დასაკმაყოფილებლად არასწორად გამოიყენა სსკ-ის 53-ე მუხლი;
- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 232¹-ე მუხლი და მიიჩნია დადგენილად, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველები;
- სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები;
- დაარღვია სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნა;
- არასწორად გამოიყენა სკ-ის 187-ე მუხლი და მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია ვერ დაიცავს კეთილსინდისიერ შემძენს,

თუკი საჯარო რეესტრის ჩანაწერს საფუძვლად უდევს მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

- დაარღვია სკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია და სადავო უძრავი ქონება არასწორად მიაქცია აუქციონზე სარეალიზაციოდ, მიუხედავად იმისა, რომ ნიეთის შექმნისას საჯარო რეესტრის ჩანაწერებით მოსარჩელის სასარგებლოდ იპოთეკის რეგისტრაცია არ არსებობდა;
- არასწორად იხელმძღვანელა სკ-ის 956-ე მუხლით;
- მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა არასწორად მიიჩნია ნარდობის ხელშეკრულებად;
- კოოპერატივის დირექტორსა და მესამე პირს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, არასწორად გამოიყენა სკ-ის 129-ე და 130-ე მუხლები;
- არასწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების მომენტიისთვის, მის მიერ სადავო საცხოვრებელი სადგომის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობის ფაქტი;
- არასწორად განმარტა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი;
- არასწორად გამოიყენა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ანალოგიით;

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლის
და განზოგადების განყოფილება**